

## **მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. ამ კოდექსს საფუძვლად უდევს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, კოდექსმა ბევრჯერ განიცადა ცვლილება. თავდაპირველად, ზოგიერთი მხარე, შეჯიბრებითობის პრინციპის სიახლისა და აქედან გამომდინარე, მისი სიუცხოვის გამო, ისევ ინკვიზიციურობას და მტკიცებულებათა შეგროვების საკითხში სასამართლოსათვის მეტი პასუხისმგებლობის დაკისრებას ემხრობოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში ისინიც დარწმუნდნენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უპირატესობაში, რადგან მხარის მიერ მოსამართლის დადანაშაულება მიკერძოებაში გამორიცხულია.

მტკიცებულება ეს არის კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და კანონიერი წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზე მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრად ნაწილდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლის თანახმად, “თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს” და “მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები”. სწორედ ეს ორი მოთხოვნა უდევს საფუძვლად საპროცესო კოდექსს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მხარეები უთითებენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც სინამდვილეშიც რომ არსებობდნენ და დადასტურდნენ კიდევ, მათი არსებობა მხარეებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი ვერ გახდება, თუ კანონით არ არის დადგენილი მოცემული ფაქტის დადასტურების აუცილებლობა. არ უნდა იქნეს მიღებული მტკიცებულებები, თუ ისინი წარმოდგენილია იმ ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც იურიდიულად ვერ ამართლებენ მხარეთა მოთხოვნებს.

საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენის უზრუნველსაყოფად, მხარეს შეუძლია მიმართოს შუამდგომლობით სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით, თუ ექნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ “მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება” (სსსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შეიძლება სარჩელის აღძვრამდეც. კანონი არ ითვალისწინებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფას საქმის განხილვის დასრულების შემდეგ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: “ვინაიდან საქმის წარმოება დამთავრებულია და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კარგავს აზრს, ვინაიდან თავისთავად მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზანი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, იგი უნდა განხორციელდეს საქმის წარმოების დამთავრებამდე, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, როცა დავა არსებითად გადაწყვეტილია, მოცემული სადავო სამართლებრივი ურთიერთობისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს” (საქმე <sup>1</sup>ას-258-516-08 10 04 2008 წ).

საქმის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად მხარემ შუამდგომლობით უნდა მიმართოს იმ სასამართლოს, სადაც უნდა მოხდეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის წარდგენილი იყოს სასამართლოში როგორც წერილობით (საქმის აღძვრამდე), ისე ზეპირად (საქმის განხილვის დროს). ვფიქრობთ, ზეპირი განცხადება მოსამზადებელ სხდომაზე უნდა გაკეთდეს, რომელიც შეტანილი იქნება სხდომის ოქმში. საქმის განხილვის დროს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადების გაკეთებას, ჩვენი აზრით, კანონმდებელი უშვებს გამონაკლის შემთხვევაში, მაგალითად, თუ საქმის განხილვის დროს ბევრი მოწმეა დასაკითხი და ერთ-ერთი ხანგრძლივ მივლინებაში მიემგზავრება, რადგან „საქმის მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის დროს სასამართლო ისედაც ვალდებულია შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები“ [1, 216].

განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად დასაბუთებული უნდა იყოს. მხარემ უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს მტკიცებულების მოგვიანებით წარდგენის შეუძლებლობის რეალობა. თუ ასეთი არ არის განცხადებაში, თუნდაც საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ამ მტკიცებულებას, სასამართლომ უარი უნდა უთხრას განმცხადებელს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე. თუ განცხადება არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მოთხოვნებს, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ამავე კოდექსის 185-ე მუხლის ანალოგია და დაუნიშნოს ვადა ხარვეზის დასადგენად. ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, ან ხარვეზისთვის ვადის დანიშვნის გარეშე სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას მტკიცებულების უზრუნველყოფაზე. მტკიცებულების უზრუნველყოფის განჩინება არ საჩივრდება, ხოლო მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით (სსსკ 119 მ).

მოსამართლეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, სადაც მითითებულია, თუ კონკრეტულად უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული და რა საპროცესო მოქმედებაა ამისთვის საჭირო.

სასამართლო, თუ ჩათვლის საჭიროდ სპეციალისტის მოწვევას მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობს სსსკ-ის 204-ე მუხლით. სპეციალისტის მოწვევა ყველა იმ საპროცესო მოქმედების ჩატარებისათვის არის აუცილებელი, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. სსსკ-ის 114-ე მუხლი სპეციალისტს ავალდებულებს, გამოცხადდეს სასამართლოში და ხელი არ შეუშალოს მოსამართლეს საპროცესო მოქმედების ჩატარებაში. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია ოქმში ფიქსირდება, ხოლო წერილობითი მასალები საქმეში ინახება.

თ.ლილუაშვილის და ვ.ხრუსტალის azriT, სპეციალისტს უფლება აქვს გაეცნოს იმ საპროცესო მოქმედების ოქმს, რომელშიც იგი მონაწილეობდა, წარმოადგინოს თავისი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითოს მის უსწორობაზე თუ უსრულობაზე [1, 369]. აღნიშნული მოსაზრება კოდექსში ასახული არ არის. თუ სსსკ-ის 291-ე მუხლს გავითვალისწინებთ, მხოლოდ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს აქვთ ოქმთან დაკავშირებით შენიშვნების წარდგენის უფლება. ამიტომ თუ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება კანონის სახეს მიიღებს, გარკვეულად გააფართოვებს 291-ე მუხლის შინაარსს და განამტკიცებს სპეციალისტის უფლებას, წარმოადგინოს შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ კარგი იქნება, თუ მსგავსი უფლება მიენიჭება მოწმეს. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ექსპერტმა შეიძლება ზეპირი განმარტება მისცეს სასამართლოს თავისი დასკვნის შესახებ. ეს ზეპირი განმარტება, ამავე მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომის ოქმში შეიტანება. ამიტომ, ჩვენი აზრით, ექსპერტსაც, რომელიც დაინტერესებულია, რომ მისი დასკვნა სასამართლო პროცესზე სწორად იქნეს გაგებული და ემსახუროს ჭეშმარიტების დადგენას, მიეცეს შესაძლებლობა შეამოწმოს მის მიერ გამოთქმული აზრის სასამართლო სხდომის ოქმში ჩაწერის სისწორე.

მხარეებს, თუ არ არის გადაუდებელი შემთხვევა, ეცნობებათ როდის და სად ტარდება მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. ისინი თუ არ გამოცხადდებიან, სასამართლოს უფლება აქვს მათ დაუსწრებლად ჩაატაროს შესაბამისი საპროცესო მოქმედება. მხარეებს, რომლებსაც ეცნობებათ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ადგილი და დრო და არ გამოცხადდებიან, ისე როგორც იმ მხარეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვთ თავიანთი მოსაზრებები წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროს ხარვეზის არსებობის შემთხვევაში და შეიტანონ შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით (სსსკ-ის 83-ე და 291-ე, მუხლი).

საქმის განხილველ სასამართლოში უნდა გაიგზავნოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი ყველა მასალა, მაგრამ თუ საქმის აღძვრამდე მოხდა მტკიცებულებათა უზრუნველყოფა – ის სასამართლოში ინახება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მასალა “მხარეთა თხოვნით ან თვით სასამართლოს ინიციატივით, გადაეგზავნება იმ სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს”. ჩვენი აზრით, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნული მუხლიდან სასამართლოს ინიციატივა ამოღებული იქნება და მასალის გადაგზავნა მხოლოდ მხარის თხოვნით მოხდება.

“საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფა” (სსსკ-ის 117-ე მუხლი). სსსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილის ეს დათქმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს საქმის განხილვის დროს, თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფის საფუძველი, მას შეუძლია დაადგინოს თავისი ინიციატივით, რადგან ეს იქნება, ასევე, შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა. აღნიშნული უნდა მოხდეს მხარის შუამდგომლობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი განსაზღვრავს პროცესის ხარჯებს. ეს არის სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებია სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. კანონი ითვალისწინებს სასამართლოსგარეშე ხარჯებსაც და სწორედ ამ ხარჯებს მიეკუთვნება მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, რომელსაც წინასწარ იხდის შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე. სასამართლო შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს განსაზღვრავს ხარჯების განაწილებას.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს არა აქვს უფლება კერძო საჩივრით გაასაჩივროს განჩინება. თუ სასამართლო უარს ეტყვის მხარეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე, მას ეძლევა საშუალება უარი გაასაჩივროს კერძო საჩივრით, რომელიც განიხილება კანონით დადგენილი წესით. როდესაც მხარე ასაჩივრებს სარჩელის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინებას, მასალები საჩივართან ერთად იგზავნება საერთო წესის დაცვით, მაგრამ თუ სასამართლო უარს ეტყვის მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე მთავარ სხდომაზე მხარეს იმ მოტივით, რომ მას სარჩელის აღძვრამდე ან საქმის მოსამზადებელ სტადიაზე არასაპატიო მიზეზით არ მოუთხოვია მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, რომ უარი საჩივრდება კერძო საჩივრით, ეს არ უნდა გახდეს საქმის გადადების საფუძველი და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უნდა იქნეს განხილული გადაწყვეტილებასთან ერთად. მართალია, აღნიშნული დაემსგავსება იმ განჩინებათა გასაჩივრების წესს, რომელიც კერძო საჩივრით არ საჩივრდება და განიხილება გადაწყვეტილებასთან ერთად, მაგრამ თავიდან იქნება აცილებული საქმის ხელოვნურად გაჭიანურება, რაც შეიძლება მხარის ინტერესიც იყოს და პრაქტიკაში არცთუ იშვიათია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები სარჩელის უზრუნველყოფას მტკიცებულებათა უზრუნველყოფისაგან ვერ ანსხვავებენ, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის ითხოვენ ყადაღის დადებას და ა.შ. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

“თვისობრივად განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისათვის მნიშვნელობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება. ამდენად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და სარჩელის უზრუნველყოფა განსხვავებული ცნებებია, შესაბამისად, ორივე შემთხვევაში განსხვავებული საპროცესო მოქმედებებია შესასრულებელი. უზრუნველყოფის ამ ღონისძიებათა კანონში ნებისმიერი კონტექსტით მითითება პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული და მათი განმარტება თვისობრივი ნიშნით იგივეობაზე, დაუშვებელია” [2].

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2007. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი*. თბილისი: სამართალი.
2. საქმე <sup>1</sup>ას-827-1190-06 7 29 მაისი 2007.

*Leila Arkhoshashvili*  
*Grigol Robakidze University*

### **Securing of Evidences According to Civil Procedure Law**

#### **Summary**

The Civil Procedural Code of Georgia was issued on November 14, 1997 and enacted from May 15, 1999. This Code is based on the principles of disposition and competition. Considering the court practice, the Code was amended many times. Initially, because of the novelty of the principle of competition and being strange to it, some parties were prone to inquisitorial and required from court to be more responsible in gathering evidences, but thereafter they ascertained in advantage of the principles of disposition and competition, as it is impossible for parties to accuse a judge of being biased.

Evidences represent the information, obtained from sources defined by the law and in the lawful way, on the basis of which parties defend their rights and legitimate interests.

Burden of proof is equally distributed between the parties. According to Articles 4 and 102 of the Civil Procedural Code, each party “must prove the circumstances which he cites as the basis of his claims and objections” and “the parties themselves define which facts should form the basis of their claims or which evidences may prove these facts”. These two demands are the basis of the Civil Procedural Code.

In the practice, there are some occurrences when the parties indicate the facts that if they even exist in the reality and their existence is proved, they can not involve awarding of the decision for them if the law does not define the necessity to prove these facts.

In order to ensure establishment of the fact important for a case, a party can plead to a court with an application for securing evidence if the party has reasonable doubt that “the future submission of required evidence will become impossible or difficult” (the first part of the article 109 of CPC).

Ensuring the evidence is also possible before lodging a claim. The law does not stipulate ensuring the evidence after completion of the hearing of a case. The Supreme Court of Georgia gave explanation for one case: "As the proceedings are completed and an awarded judgment has become effective, therefore, the measure of the securing evidence loses its meaning, as the very securing evidence aims at securing facts that have importance for a case, therefore it must be executed before the completion of the proceedings, but in this case, when the dispute adjudicated, there are no legal basis for securing evidence measures in this contentious legal relation" (the case #as-258-516-08 10. 04. 2008).

Before initiating an action in order to secure evidences, the party should submit a solicitation to court where securing evidences will take place.

The legislator gives the possibility of filing a statement on evidence securing in a written form (before filing of a claim) as well as orally (during the proceedings). In our opinion, an oral statement should be done at the preliminary court session; this statement will be entered in the minutes. To our mind, the legislator admits a statement on evidence securing during consideration of a case as an exception; for example, if there are a lot of witnesses to interrogate and one of them goes for a long mission, as "during the hearing of a case in essence at the main court session, the court must examine and consider the evidences".

The statement on evidence securing must be well-grounded. The party must prove to the court the reality of the impossibility of providing the evidences later. If that is not stipulated in the statement, even if the evidence is decisively important for the case, the court must refuse the applicant to ensure the evidence. If the statement does not respond to the requirements established in the article 112 of the Civil Procedure Code, the court can use the analogy of the article 185 of the same code and give him/her time to eliminate the faults. In case of not eliminating the faults or without giving time for their elimination, the court has the right to refuse to ensure the evidences. A decree on ensuring the evidences is not appealable, but a decree on refusal of ensuring the evidences is appealable (article 119 of CPC).

The judge issues a grounded decree on ensuring evidence concretely indicating which required ensuring measure must be used and which procedural action is needed for it.

If the court finds it necessary to invite a specialist, it shall be guided by the article 204 of CPC. The invitation of a specialist is necessary to conduct all of these procedural actions requiring special knowledge. The article 114 obliges the specialist to appear upon the summon to court and not to hinder a judge from conducting the procedural action. The verbal consultation of an expert is entered into the minutes and written documents are enclosed to the case.

In Liluashvili's and Khrustal's opinion, an expert has the right to view the minutes of procedural action conducted by him/her, to submit comments on the incompleteness or irregularity of its entry. The Code does not share this opinion. If we take into consideration the article 291 of CPC, only the parties and their representatives have the right to submit comments on the minutes. Therefore, if the above-mentioned opinion becomes a law, this will extend the meaning of the article 291 and confirm a specialist's right of submitting comments on the minutes. We think it would be good if the same right was given to a witness. Besides, according to the article 170 of the Civil Procedural Code, an expert may give the court a verbal explanation about his/her opinion. According to the same article, this verbal explanation is entered into the minutes. Therefore, in our opinion, an expert, who is interested in correct understanding of his/ her opinion at the court session so that it serves establishing the truth, be given the right to check how correctly the opinion expressed by him/her was written in the minutes.

The parties, if there is no emergency, shall be informed about the time and place of review evidence at their location. If these persons fail to appear, the court has the right to conduct an appropriate procedural action.

The parties who were informed about the time and place of review evidence at their location and failed to appear, as the party involved in the review of evidence at the place of their location, are entitled to represent to the court their opinions about the faults having place in ensuring the evidence and make comments on the review record (articles 83 and 291 of CPC).

All the documents, collected according to the rules of ensuring evidences, must be sent to the court considering a case. But, if the evidences are secured before initiation of an action, they shall be kept in the court. According to the second part of the article 116 of The Civil Procedural Code, “by the request of the parties or by the very initiative of the court the evidences are sent to the court which will consider the case”. In our opinion, it would be better to base it on the principle of competition if the court initiative was exempt from this article and the evidences were sent only by the request of the party.

“While trying a case, the court may decide additional or repeated ensuring of evidences” (article 117 of CPC). This stipulation of the second part of the article 117 should not be understood as if, during the consideration of a case, the court concludes that there is the ground for additional ensuring or re-ensuring of evidences; the court can decide this by its initiative, as it would be breach of the principle of competition. It must happen by the request of a party.

The article 37 of the Civil Procedural Code concerns procedural costs. This one consists of court costs and extrajudicial costs related to the proceedings. Court costs are court duty and expenditures related to the proceedings. The law stipulates extrajudicial costs; exactly these costs are associated with the involvement of ensuring evidence which are paid beforehand by a party submitting a solicitation. The court determines the allocation of costs while making the final decision.

In case of accepting the statement on securing evidence, an opposing party does not have the right to appeal against by a private complaint. If the court refuses a party to ensure the evidences, he/she is given the opportunity to appeal against the refusal which is considered in accordance to the order established by the law. When a party appeals against a decree on refusal of ensuring evidence before initiating an action (before submitting the statement of claim), the materials and the complaint are filed in accordance to the general order. If the court refuses a party to secure the evidence under the motive that he/she had not required under unreasonable excuse the evidence securing before initiating an action or at preparatory stage of the case, despite the appeal of refusal by a private complaint, this should not become the basis for suspending the proceedings and, after approving the final decision on a case, the refusal shall be considered together with the decision, but artificial delay of a case would be avoided and this avoiding may include a party's interest. Delaying of a case is not rare in the practice.

Frequently, parties cannot differ evidence securing from claim securing. They require the seizure for evidence securing, etc. The Cassation Chamber explains that evidence securing “differs in essence from claim securing measures. The securing evidence is necessary for establishing the facts important for a case, but claim securing aims at the execution of a decision. Therefore, securing evidence and claim securing are different notions; consequently, there are two different procedural actions to be conducted in the both cases. The indication on these measures in any context in the law must be understood in direct sense and their explanation as equality in essence is not permitted”.